821.111
Ბ20

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო მერაბის ასული ბალანჩივაძე

თორნთონ უაილდერის დრამატურგიის მითოპოეტიკური ელემენტები

10.01.05 ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თემურ კობახიძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ირაკლი კენჭოშვილი

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ირაკლი ცხვედიანი

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.06 №8 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 2006 წლის 22 დეკემბერს, 14 საათზე.

მისამართი: 0128, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 0147, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 20 ნოემბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

რ. ციხითათრიშვილი (რ. ციხითათრიშვილი)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

__თემის აქტუალობა.__ ამერიკელი რომანისტისა და დრამატურგის – თორნთონ უაილდერის (1897-1975) თვითმყოფადი, ძალზე თავისებური შემოქმედება ყოველთვის განზე იდგა ამერიკული ლიტერატურის საერთო მდინარებისაგან, მაგრამ დღეს მას თვის სამშობლოში სრულიად დამსახურებულად ასახელებენ მეოცე საუკუნის სხვა ცნობილ მწერალთა გვერდით.

თ. უაილდერმა თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა (პროზა, დრამატურგია, თარგმანები, თეორიული და კრიტიკული გამოკვლევები), ლიტერატურული მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში მოახერხა საკუთარი სიტყვის თქმა.

ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში წლიდან წლამდე იზრდება ინტერესი თ. უაილდერის შემოქმედებისადმი, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ თ. უაილდერის მხატვრული შემოქმედება ერთგვარად ტრადიციულიცაა და ამავე დროს მოდერნისტულიც. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მისი შემოქმედების ირგვლივ იწერება მონოგრაფიები, სტატიები და არ ფიქსირდება მწერლის ორი, ერთმანეთის მსგავსი გაგება-შეფასება. იგივეს ადასტურებს ჩვენს მიერ წარმოებული კვლევაც: თ. უაილდერის მოდერნისტული თვალთახედვის გვერდით, ზოგჯერ ცალკეულ სიტუაციათა იმგვარ ხედვას ვაწყდებით, რაც აშკარად ტრადიციული მწერლობისთვისაა დამახასიათებელი.

თ. უაილდერის 30-40-იანი წლების დრამატურგიის ანალიზი (ერთმოქმედებიანი პიესები: „ჩვენი ქალაქი“, „ბეწვის ხიდზე“, „მაჭანკალი“) საშუალებას იძლევა, დავინახოთ დრამატურგის ოსტატობა, ხაზი გავუსვათ იმ მხატვრულ ხერხებსა თუ გავლენებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია მისი შემოქმედება, ხოლო სპეციალური ბიბლიოგრაფიული შრომები მხოლოდ ზოგად წარმოდგენას თუ გვიქმნიან თ. უაილდერის შემოქმედების ირგვლივ დაწერილ ნაშრომთა მთელ მრავალფეროვნებაზე, რამდენადაც მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მ. გოლდსთაინის, რ. ბერბენკის, მ. ქიუნერის ნაშრომების სახით, თ. უაილდერის უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი ფაქტების განხილვის თვალსაზრისით არის ყურადსაღები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გამართლებულია ჩვენი არჩევანი საკვლევი თემის შერჩევისას. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თ. უაილდერის შემოქმედება საქართველოში ნაკლებადაა ცნობილი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, ხოლო მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ჯერ არ გამხდარა სერიოზული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის საგანი. ამდენად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ ენაზე დაწერილი

2146